26 მარტს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სტუმრად ეწვივნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურები, მართლწესრიგის ოფიცრები და სკოლის მოსწავლეები.

სტუმრებმა იხილეს გამოფენა „ქართული ხელნაწერი წიგნი“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ხელნაწერების საშუალებით დამთვალიერებლებმა იმოგზაურეს ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის სამყაროში. VII საუკუნიდან XVIII საუკუნის პერიოდში გადაწერილ ხელნაწერებს შორის გამორჩეული ექსპონატები იყო მეფე თამარის მიერ საგანგებოდ დაკვეთილი სახარება, აფხაზეთში, მოქვის მონასტერში გადაწერილი და ოქროთი შემკული მოქვის ოთხთავი და მეფეების – სოლომონ I-ისა და გიორგი XI-ის დაკვეთით გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხები.

სტუმრებმა, ასევე, მოისმინეს საინტერესო ინფორმაცია ქართული ანბანის სამი სახეობის შესახებ. ბავშვებს საშუალება ჰქონდათ თავადაც წარემართათ საუბარი და მოეყოლათ თუ რა იყო მოსმენილიდან მათთვის ყველაზე დასამახსოვრებელი.

გარდა ამისა, სტუმრები გაეცნენ კომპიუტერულ პროგრამას „ჩემი შექმნილი წიგნი“. პროგრამა გულისხმობს მარტივი ილუსტრაციებით ხელით ნაწერი წიგნის შექმნის ეტაპების გაცნობას. იგი მოიცავს ინტერაქტიულ ნაწილსაც.

ასევე საინტერესო და სახალისო ნაწილი სტუმრობისა იყო მეფის ტიტულის მორგება და ფოტოების გადაღება. ცენტრის მიერ მომზადებულ საგანგებო სტენდთან ბავშვებს საშუალება ჰქონდათ უნგრელი მხატვრის მიერ დახატული ილუსტრაციის ფონზე გადაეღოთ ფოტოები.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ამ დღისთვის დარბაზში გამოიფინა რამდენიმე ორიგინალი დოკუმენტი, რომელშიც მოხსენიებულნი არინ მანდატურთუხუცესები.